პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

202.... წლის ..... ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმში (თამარის დასახლება) ი. გრიშაშვილის ქუჩიდან ც. დადიანის ქუჩამდე არსებული გზის მონაკვეთის ქუჩად ჩამოყალიბებისა და მასზედ კონსტიტუციის სახელის მინიჭება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ ბათუმში, (თამარის დასახლება) ი. გრიშაშვილის ქუჩიდან ც. დადიანის ქუჩამდე არსებული გზის მონაკვეთი ჩამოყალიბდეს ქუჩად და მიენიჭოს კონსტიტუციის სახელი (თანახმად თანდართული სიტუაციური გეგმისა).
2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას წინამდებარე განკარგულების თანახმად, განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმში (თამარის დასახლება), ი. გრიშაშვილის ქუჩიდან ც. დადიანის ქუჩამდე არსებული გზის მონაკვეთის ქუჩად ჩამოყალიბება და მასზედ კონსტიტუციის სახელის მინიჭება

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიისა და საქართველოს სახეწლმწიფოებრიობის განვითარებაში.

2021 წლის 21 თებერვალს აღინიშნება მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღების 100 წლის იუბილე. აღსანიშნავია, რომ მეგობარი ქვეყნები მაღალ შეფასებას აძლევენ პირველი დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კონსტიტუციას, რომელიც წარმოადგენს ლიბერალური დემოკრატიის თვალსაჩინო და ადრეულ მაგალითს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა წარმომადგენლობით სისტემას, სიტყვის თავისუფლებას, სასამართლო რეფორმას, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას, ასევე ეთნიკური უმცირესობებისა და ქალების არჩევითობას.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში (თამარის დასახლება), ი. გრიშაშვილის ქუჩიდან ც. დადიანის ქუჩამდე არსებული გზის მონაკვეთის ქუჩად ჩამოყალიბებისა და მასზედ კონსტიტუციის სახელის მინიჭება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობა

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია

ვ) პროექტის ინიციატორი:

ირაკლი პატარიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი პატარიძე


Konilistskali River
Konilistskali River
Konilistskali River
N&G
IPSC

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

561-01-2-202103091116

N 01/561
09/03/2021

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გეოგრაფიული ობიექტების სახელდების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიისთვის (შემდგომში კომისია) გეოგრაფიული ობიექტის სახელდების თაობაზე თქვენს მიერ N15-15210493, 18.02.2021 (N869/01, 18.02.2021) წერილით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გიგზავნით ამონაწერს ამავე კომისიის 2021 წლის 26 თებერვლის N23 სხდომის ოქმიდან.

დანართი: 1 გვერდი.

პატივისცემით,

ილია ბეგიაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011791758106621

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 66834 **17 / თებერვალი / 2021 წ.**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ სულიკო თებიძეს

ბატონო სულიკო,

სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს" წარედგინა ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 თებერვლის №15-15210481 მომართვა (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის პროგრამაში რეგისტრაციის ნომერი/თარიღი: №72964/177, 17.02.2021) **ქალაქ ბათუმში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩიდან ცოტნე დადიანის ქუჩამდე არსებული გზის მონაკვეთისათვის კონსტიტუციის ქუჩის** სახელის მინიჭების მიზნით მისამართების გეოინფორმაციული პორტალის მეშვეობით განცხადების დასარეგისტრირებლად. გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შესაბამისად დარეგისტრირდა №242555 განცხადება.

აღნიშნულ საკითხზე საბოლოო გადაწყეტილების მიღების შემდგომ, გთხოვთ, "გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, უზრუნველყოთ სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის" შესაბამისი დოკუმენტაციის მოწოდება.

პატივისცემით,

სამისამართო სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომის
ოქმი N23-დან ამონაწერი

ქ. თბილისი 26 თებერვალი 2021 წელი

მონაწილეობდნენ : ილია ბეგიაშვილი, ნიკოლოზ როსებაშვილი, მიხეილ გვათუა, გიორგი დიდიძე, ნინო ბახია, ვაჟა კიკნაძე, ვახტანგ მაღრაძე, გიორგი პეტრიაშვილი, მარიკა ოძელი, თეა ტეტელოშვილი. კომისიის 14 წევრიდან სხდომაში მონაწილეობდა 1ი წევრი , იგი უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილებები. კომისიის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას იღებდა მაკა სამხარაძე - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსი. სხდომა ჩატარდა ონლაინ - რეჟიმში.

სხდომის თავმჯდომარე: ილია ბეგიაშვილი
სხდომის მდივანი: მიხეილ გვათუა

საკითხი N1. განიხილეს : ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართვა ბათუმში (თამარის დასახლება) იოსებ გრიშაშვილის ქუჩიდან ცოტნე დადიანის ქუჩამდე არსებული გზის მონაკვეთის ქუჩად ჩამოყალიბებისა და მისთვის კონსტიტუციის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მოსაზრება დააფიქსირეს: ილია ბეგიაშვილმა, ნიკოლოზ როსებაშვილმა, მიხეილ გვათუამ, გიორგი დიდიძემ, პაატა ჯიოშვილმა, ნინო ბახიამ, ვაჟა კიკნაძემ, ვახტანგ მაღრაძემ, გიორგი პეტრიაშვილმა, მარიკა ოძელმა და თეა ტეტელოშვილმა.

აღინიშნა: დემოუკიდებელი საქართველოს პირველი კონსტიტუციის ისტორიული მნიშვნელობა და მხარდაჭერა გამოიხატა მისი მიღების 100 წლისთავის აღსანიშნავად ახლად ჩამოყალიბებული ქუჩის სახელდებისადმი.

დაადგინეს: ქალაქ ბათუმში იოსებ გრიშაშვილის ქუჩიდან ცოტნე დადიანის ქუჩამდე არსებული გზის მონაკვეთის ქუჩად ჩამოყალიბებისა და მისთვის კონსტიტუციის სახელის მინიჭებაზე გაიცეს დადებითი დასკვნა.

ჩატარდა კენჭისყრა: მომხრე -10, წინააღმდეგი-0.

ამონაწერის სისწორეს დედანთან ვადასტურებ,

კომისიის მდივანი მიხეილ გვათუა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის ე

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. ბათუმი 2021 წლის 17 თებერვალი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა მიმდინარე წლის საკრებულოს სხდომაზე განსახილველი შემდეგი საკითხი:

1. „ქ. ბათუმში (თამარის დასახლება) ი. გრიშაშვილის ქუჩიდან ც. დადიანის ქუჩამდე არსებული გზის მონაკვეთის ქუჩად ჩამოყალიბებისა და მასზედ კონსტიტუციის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი პატარიძე